

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება – გინეკოლოგია

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი – სრული პროფესორი არჩილ ხომასურიძე;

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

a) **პროგრამის მიზანი:** წარმოდგენილი პროგრამა მიზნად ისახავს უზრუნველყოს დოქტორანტი ღრმა თეორიული ცოდნით ორსულობის ადრეულ ეტაპზე განვითარებულ პათოლოგიურ მდგომარეობათა ეტიოლოგიის, პათოგენეზის, დიაგნოსტიკის პროგნოზირებისა და მკურნალობის შესახებ, უახლეს, თანამედროვე ლიტერატურულ მონაცემებზე დაყრდნობით. ჩამოუყალიბოს დოქტორანტს ლიტერატურული და საკუთარი კვლევის შედეგების კრიტიკული ანალიზისა და ლოგიკური დასკვნების გაკეთების უნარი ფაქტებზე დამყარებული მედიცინის პრინციპების გამოყენებით, სამეცნიერო კვლევების დამოუკიდებლად დაგეგმვისა და წარმოების, ასევე სასწავლო პროცესის წარმართვის უნარი.

პროგრამის აქტუალობა და სავარაუდო საკვლევი პრობლემები:

G იმუნოლოგიური ადაპტაციური მექანიზმების დარღვევის გავლენა ორსულობის ადრეული პერიოდის მიმდინარეობაზე.

გესტაცია_ადაპტაციური სინდრომის ბუნებაში არსებული უნიკალური მაგალითია. Kვერცხუჯრედის განაყოფიერებისა და შემდგომი განვითარების პასუხად წარმოქმნილი სტრეს-რეაქცია იწვევს ჰომეოსტაზის “ბუნების მიერ დაშვებულ” დარღვევას. განსაკუთრებულ შემთხვევებში მოდულაციურ და შემსრულებელ სისტემათა უუნარობის გამო არ ხდება სრულყოფილი ადაპტაცია, რაც განაპირობებს ორსულობის ამა თუ იმ გართულების განვითარებას. ამასთან, გესტაციის საწყის პერიოდში მანიფესტირდება ისეთი სიმპტომები, როგორცაა: ტაქიკარდია, ჰიპოტენზია, ადვილად აგზნებადობა ან პირიქით ჰიპოტონია, ნერვული სისტემის ლაბილობის სხვა ნიშნები, შიში მიმდინარე ორსულობის გამოსავალთან დაკავშირებით, ნაადრევი მშობიარობის ან აბორტის განვითარებისა, გულისრევა, პირღებინება, კუჭის მოქმედების გაძნელება-გაიშვიათება, დისკინეზური მოვლენები კუჭ-ნაწლავის ტრაქტში, ჰიპერსალივაცია და სხვა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ზემოთ ჩამოთვლილი სიმპტომები ცალ-ცალკე ან რამოდენიმე ერთად ასახავს ორსულობის ადრეული ხანის ისეთ პათოლოგიებს, როგორცაა გესტაციური არტერიული ჰიპოტონია, დისპნოე, ორსულთა I ნახევრის ტოქსიკოზი ამასთან, მონოსიმპტონური პათოლოგიური მდგომარეობა გესტაციის I ნახევარში იშვიათობას წარმოადგენს. უფრო ხშირია აღნიშნული სიმპტომების სხვადასხვა კომბინაციით არსებობა, რასაც, არაიშვიათად D, თან ახლავს ორსულობის დრომდემიუტანლობის, ანემიის, გესტოზის და სხვა პათოლოგიათა განვითარება.

ცნობილია, რომ განსხვავებული ბუნების მადესტაბილიზირებელი ფაქტორების გავლენისას ორგანიზმის ადაპტაციურ-კომპენსატორული რეაქციის ფორმირება დიდწილად განისაზღვრება იმუნურ და ნეიროენდოკრინულ სისტემებს შორის ურთიერთმოქმედებით. იმუნურ-ნეიროენდოკრინული ურთიერთქმედების დარღვევა წარმოადგენს იმუნური სისტემის დისფუნქციის განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს მექანიზმს. ამ ინტეგრალური ქსელის რეალიზაციაში დღესდღეობით სულ უფრო მეტი ყურადღება ენიჭება ენდოგენური ბიორეგულატორების ერთ-ერთ ჯგუფს-ციტოკინებს-ინტერლეიკინებს, რომლებიც გამომუშავდება იმუნური სისტემის უჯრედების მიერ,

მონაწილეობს ამ უჯრედების რეგულაციაში და გააჩნია აუტოკრინული, პარაკრინული და ენდოკრინული აქტივობა.

გამომდინარე იქიდან, რომ ნაყოფი წარმოადგენს ალოტრანსპლანტატს, კვლევის მიზანია იმუნოლოგიური უზრუნველყოფის ადაპტაციური მექანიზმების დადგენა ფიზიოლოგიური ორსულობისა და ორსულობის ადრეული ხანის გართულებათა ჩამოყალიბებაში. ლიტერატურული მონაცემებით ორსულობა და ადრეულ ეტაპზე მისი გართულებანი-ტაქიკარდია, ჰიპოტენზია, ნერვულ-ფსიქიური მოშლილობები, გულისრევა, პირღებინა და სხვა. აარ არის განხილული ადაპტაციურ-შეგუებითი რეაქციების იმუნოლოგიური უზრუნველყოფის პოზიციიდან. დასადგენია იმუნური სისტემის ის ცვლილებები, რომლებიც ვითარდება ზემოჩამოთვლილ პათოლოგიათა დროს. არ არის შემუშავებული მათი დიაგნოსტიკის, პროგნოზირების, თავიდან აცილებისა და მედიკამენტური კორექციის რაციონალური პრინციპები.

ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად გამოკვლეული იქნება 5-დან 12 კვირამდე ვადის ორსულები, რომელთაც აღნიშნებათ სხვადასხვა სახის პათოლოგია. როგორც უკვე ავღნიშნეთ, ორსულობის I ნახევარში მონოსიმპტომური მდგომარეობა პრაქტიკულად არ გვხვდება და სწორედ აქედან გამომდინარე, ჯგუფები შეირჩევა ამა თუ იმ ორგანოთა სისტემების ფუნქციის დარღვევათა დომინირების საფუძველზე:

- ორსულები გულ-სისლმარღვთა სისტემის პათოლოგიის უპირატესი გამოვლინებით;
- ორსულები ნერვულ-ფსიქიურ მოშლილობათა დომინირებით;
- ორსულები კუჭ-ნაწლავის სისტემის პათოლოგიის წამყვანი სიმპტომატიკით.

გამოკვლეული იქნება აგრეთვე 5-დან 12 კვირამდე ვადით ორსულები გესტაციის ფიზიოლოგიური მიმდინარეობით და რეპროდუქციული ასაკის არაორსული ქალები ფიზიოლოგიური მენსტრუალური ციკლის II ფაზაში.

თემის შესრულებისას თითოეულ ჯგუფში განისაზღვრება შემდეგი პარამეტრები: კორტიზოლი, T3-საერთო (CD3), T4-ჰელპერები (CD4), T8- სუპრესორები (CD8), ნეიტროფილების ფაგოციტური რიცხვი, ნეიტროფილების ფაგოციტური ინდექსი, დეგრანულაცია, ნიტროლურჯი ტეტრაზოლინის ტესტი (ნ.ლ.ტ-ტესტი), ინტერლეიკინ 1 β (IL-1 β), ინტერლეიკინ-4 (IL-4), ინტერლეიკინ-6 (IL-6) და სიმსივნის ნეკროზის ფაქტორი α (TNF- α). თითოეული ორსულის რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ცხოვრების ხარისხი შეფასდება ანამნეზური კვლევის მონაცემებით.

კვლევის შედეგად შეფასებული და გაანალიზებული იქნება ორსულობის ადრეული პერიოდის ადაპტაციური დარღვევების იმუნოლოგიური მექანიზმები და მათი კლინიკური მიმდინარეობის თავისებურებანი. გამოვლინდება ნაყოფისმიერი რეპროდუქციული დანაკარგების განვითარების მაღალი რისკის მქონე ორსულების ჯგუფი. განისაზღვრება ამ პათოლოგიათა დროული დიაგნოსტიკის, პროგნოზირების, პროფილაქტიკისა და მედიკამენტური კორექციის ძირითადი პრინციპები.

b) პროგრამის შედეგი:

დარგობრივი კვალიფიკაცია, ცოდნა, კომპეტენციები, უნარ-ჩვევები.:

პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორანტს

- ექნება ღრმა, ფუნდამენტური ცოდნა მეანობა-გინეკოლოგიასა და რეპროდუქტოლოგიაში. ექნება ცოდნა ორსულობის მართვის საკითხებში, რაც მას შესაძლებლობას მისცემს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დასვას სწორი დიაგნოზი და შეიმუშაოს ეტიოპათოგენეზურად დასაბუთებული სამკურნალო ტაქტიკა.;
- შეეძლება დამოუკიდებლად დაგეგმოს და აწარმოოს სამეცნიერო კვლევები მეანობა-გინეკოლოგიასა და რეპროდუქტოლოგიაში თანამედროვე მეთოდების გამოყენებით;
- შეეძლება შექმნილი ცოდნისა და უნარების გამოყენებით ახალ, უცნობ გარემოში გადაჭრას წარმოქმნილი პრობლემები, როგორც ძირითად, ასევე მომიჯნავე დისციპლინებში;
- შეეძლება არასრული და შეზღუდული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ჩამოაყალიბოს სოციალურად და ეთიკურად მისაღები მოსაზრებები;
- შეეძლება წარმართოს სასწავლო პროცესი და განსაზღვროს საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულყოფისათვის საჭირო საშუალებები.

გ) კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროები:

პრაქტიკული და სამეცნიერო საქმიანობა სპეცილიზირებულ სამეანო-გინეკოლოგიურ და რეპროდუქტოლოგიურ კლინიკაში, პრაქტიკული საქმიანობა მრავალპროფილიან კლინიკაში მეანობა-გინეკოლოგის ან ექიმ-რეპროდუქტოლოგის სპეციალობით. სასწავლო პროცესში მონაწილეობა პროფილის მიხედვით

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები: სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების წინაპირობაა მაგისტრის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. უცხო ენის ცოდნა B2 დონეზე.

სასწავლო კომპონენტი:

დოქტორანტურაში სასწავლო კომპონენტი შეადგენს 60 კრედიტს, ხოლო კვლევითი ნაწილი 120 კრედიტს.

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

ი. ჟორდანის სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი.

ინსტიტუტში ფუნქციონირებს პოლიკლინიკური და კლინიკური განყოფილებები, რომელთა პაციენტებიც უზრუნველყოფენ კვლევას საკმარისი კლინიკური მასალით. ინსტიტუტში ფუნქციონირებს ყველა ის ლაბორატორია და კაბინეტი რომლებიც აუცილებელია კვლევის ჩატარებისთვის თანამედროვე მეთოდოლოგიების გამოყენებით.

ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე სადოქტორო პროგრამაზე შესაძლებელია 3 დოქტორანტის მიღება.